შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
METRIX CONSTRUCTION LLC

www.metrixconstruction.ge
e-mail: metrixconstruction.llc@gmail.com
tel: 579 60 19 19; 555 13 00 31

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

მისამართი: ქალაქი თბილისი შალვა ჯაფარიძის ქუჩა, N 7. ს/კ:01.12.01.005.036



2022 წელი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

კოლეჯის რეკონსტრუქცია, ქალაქი თბილისი
შალვა ჯაფარიძის ქუჩა №7.

ს/კ:01.12.01.005.036

პროექტის ავტორი:
ქონსტრუქტორი დავით გვასალია

2023 წ.

განმარტებითი ბარათი

პროექტი ითვალისწინებს თბილისში, შალვა ჯაფარიძის ქუჩა, 7. ს/კ:01.12.01.005.036 წითელ ხაზებში მოქცეულ "შპს ინტერბიზნესის აკადემია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე კოლეჯის სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ორგანიზების დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით. მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა განსაზღვრულია 36 თვით (იხ. კალენდარული გრაფიკი), შენობა-ნაგებობა წარმოადგენს 4 სართულიან(სარდაფით) კოლეჯს.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1. მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება შესაბამისი სამსახურებიდან.

ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში მოეწყოს ავტოტრანსპორტისა და მექანიზმებისათვის დროებითი მოხრეშილი გზები. შემდგომში უნდა მოხდეს:

1.1. დროებითი შენობების მონტაჟი/მოწყობა - სათავსებად (მუშახელის გარდერობი, ხელმძღვანელის სამყოფი) მოეწყობა არსებულ შეობაში.

1.2. დროებითი ღობის მოწყობა ხის, ლითონის ფურცლოვანას, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შელებილი, ზედ განთავსებული საინფორმაციო ბანერით.

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ელ. ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ

1.4. მშენებლობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებების და ნორმების მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

II ეტაპი სადემონტაჟო სამუშაოები-დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. მეორე ეტაპის პირველადი სამუშაოები წარმოადგენს შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება. გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები.
მოსამზადებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტების მონაწილეობითა და სათანადო აქტის შედგენით. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

II რიგის სამუშაოები:
III ეტაპი - მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.

3.1. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლის მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ბუნებრივი ქვაბულის დახრის გათვალისწინებით.
I — სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობისათვის გამოსაყენებლად.
II — ჰუმუსის მოხსნის შემდეგ უნდა განხორციელდეს მცირე ზომის ჩამჩიანი ექსკავატორით ან ხელით თითოეული წერტილოვანი საძირკვლისათვის და მათი შემკრავი კოჭებისათვის ქვაბულების ამოღება, პარალელურად ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გადატანა ობიექტიდან.

3.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლის მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე.

3.4. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყოველ ეტაპზე მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმება. მოჭრილი მიწა გატანილი უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან.

1.2. დროებითი ღობის მოწყობა ხის, ლითონის ფურცლოვანას, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შელებილი, ზედ განთავსებული საინფორმაციო ბანერით.

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ელ. ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ

1.4. მშენებლობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, სამშენებლო სატრანსპორტო მოძრაობა უნდა განხორციელდეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული სატრანსპორტო სქემისა და ასევე მათი მითითებების და ნორმების მიხედვით, მშენებლობის დასრულების შემდეგ უნდა განხორციელდეს აღნიშნული დროებითი სატრანსპორტო სქემის მოხსნა და მოეწყოს ახალი შეთანხმებული სატრანსპორტო მოძრაობის მანიშნებლები.

II ეტაპი სადემონტაჟო სამუშაოები-დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. მეორე ეტაპის პირველადი სამუშაოები წარმოადგენს შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება. გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები.
მოსამზადებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტების მონაწილეობითა და სათანადო აქტის შედგენით. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

II რიგის სამუშაოები:
III ეტაპი - მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.

3.1. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლის მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ბუნებრივი ქვაბულის დახრის გათვალისწინებით.
I — სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობისათვის გამოსაყენებლად.
II — ჰუმუსის მოხსნის შემდეგ უნდა განხორციელდეს მცირე ზომის ჩამჩიანი ექსკავატორით ან ხელით თითოეული წერტილოვანი საძირკვლისათვის და მათი შემკრავი კოჭებისათვის ქვაბულების ამოღება, პარალელურად ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გადატანა ობიექტიდან.

3.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლის მოწყობის წინ ქვაბულში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე.

3.4. მიწის სამუშაოების წარმოება აუცილებელია ინჟინერ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე აუცილებელია ყოველ ეტაპზე მთავარი კონსტრუქტორის შეთანხმება. მოჭრილი მიწა გატანილი უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.5. საძირკვლის ქვაბულების მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ბუნებრივი ფენილი ხრეშ-კენჭნარის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი დაახლოებით 30 სმ. დატკეპნვის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა 10 სმ. სისქით. შემდეგ უნდა მოეწყოს მონოლითური საძირკველი, პარალელურად უნდა მოეწყოს ანალოგიური თანმიმდევრობით მათი შემკრავი მონოლითური რკინა-ბეტონის რანდკოჭები (გარე პერიმეტრზე დამცავი ჰიდროიზოლაციით, ჰიდროიზოლაციის დამცავი ფენილით). საძირკვლის დასრულება-გაშრობის შემდგომ უნდა განხორციელდეს ბალასტის უკუჩაყრა და ფენობრივად დატკეპნვა.

3.6. საძირკვლების ძირის ნიშნულებიც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტის გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა დაფიქსირდეს გეოდეზიური კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს დაკვლავის აქტები.

3.7. საძირკვლების, კედლებისა და იატაკის ფილის გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს ლითონის სვეტების მოწყობა, შემდეგ ლითონის კარკასის და გადახურვის და ა.შ. სამუშაოები უნდა შესრულდეს ტექნოლოგიის სრული დაცვით. სასურველია მონტაჟის პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციული მონტაჟის დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები, მასზე დართული ფოტოფიქსაციით. მიწისზედა სამშენებლო სამუშაოების წარმართვა სასურველია მობილური ამწეების გამოყენებით.

3.8. ლითონკონსტრუქციის სამონტაჟო სამუშაოების დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ლენტებით ან ბადეებით. ასევე სასურველია ღამის განათების მოწყობა ფასადებზე.

IV ეტაპი - სახურავის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები

4.1.ლითონკონსტრუქციის კარკასის მონტაჟის დასრულების შემდეგ უნდა მოეწყოს იზოლაცია წყალშემკრებ და ჩამომყვან მილებთან ერთად.

4.2. გადახურვის შემდეგ შესაძლებელია შიდა და გარე პერიმეტრზე მოაჯირების მოწყობა.

4.3. მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალსაზრისით, სახურავის მოწყობის შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორცაა საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, იატაკების მოწყობა, სამღებრო. პარალელურად უნდა წარმიმართოს სანტექნიკური და ელ. ტექნიკური სამუშაოები, სუსტი დენების მონტაჟი, ხანძარუსაფრთხოების ქსელები და ა.შ.

4.4. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება უნდა შესრულდეს პროექტის მიხედვით მიდგმული ვერტიკალური სახარაჩო სისტემის გამოყენებით.

4.5. ლითონის კარკასი მოწყოს დაგრუნტვით, დამუშავებით და შეღებილი იქნას მაღალი ხარისხის საღებავით.

V ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა, ობიექტის დასრულება/დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები.

5.1. ობიექტის ექსპლუატაციაში ჩაბარებისათვის სამშენებლო/მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება და ტერიტორიის კეთილმოწყობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

5.2. ბოლო თვეებში უნდა განხორციელდეს ტერიტორიის შემოფარგვლა მუდმივი ღობით, უნდა მოწყოს ჭიშკარი.

5.3. ღობის შემდგომ უნდა განხორციელდეს ეზოს ვერტიკალური გეგმარება. შემდეგ კეთილმოწყობა/გამწვანება, მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოწყობა.

5.4. ბოლო თვეებში უნდა დაიგეგმოს მთლიანი ტერიტორიის დასუფთავება მიმდევრობით და ობიექტის მოშზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

5.5. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია ბაზარზე, ამავე დროს სამშენებლო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს მძლავრი საწარმოო ბაზა და ამასთანავე უნდა იყოს დაკომპლექტებული მაღალი თანრიგის მუშებითა და შესაბამისი ინჟინერ/ტექნიკური პერსონალით.

5.6. სამშენებლო ობიექტი უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინრის სპეციალისტის მიერ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონის შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით პერსონალის გადამზადება.

5.7. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა დაუშვებელია. ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია საავტორო შეთანხმებისა და ნებართვის გამცემი ორგანოს თანხმობის შემთხვევაში.

VI ეტაპი - რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

VII ეტაპი - მშენებლობაზე შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს თანახმად ,,ს.ნ. და წ. 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ და სხვა ნორმატიულ საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისად, მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: ,,საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014 წ. N361 დადგენილებით) და სნ. და წ. ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით, კერძოდ:

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას კოლექტიური სიგნალიზაციისა და დაცვის საშუალებით.

7.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

7.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან და უკანა მხრიდან.

7.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

7.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დაშვებულ ნორმას.

7.6. ჰიდროიზოლაციის სამუშაოთა შესრულებისას, პარკეტზე ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოებზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორსა და თავსაბურავს.

7.7. საფალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედოობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადეის საიმედოობაც და წესრიგიანობაც, რათა არ მოხდეს სამაგრების თვითგახსნა.

7.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დალაგდეს მოსწორებულ ადგილზე, რათა არ მოხდეს მათი დაცურება.

7.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა მუდამ უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი - იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა დასრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

7.11. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შედუღების აპარატები და სხვ.) საბინაო ელ. ქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტრო კაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება, საიდანაც ძალოვანი და განათებელი კაბელები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

7.12. ამწე საწეველების, ელექტრო საწეველას და სხვა მანქანა-მექანიზმების მუშაობის პერიოდში, მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7.13. უცხო პირთა, ასევე სამშენებლო პროცესში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს, სახიფათო ზონაში, დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს, როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

7.14. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში და მათი განათება ღამის საათებში.

VIII ეტაპი - ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის მტვრით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

8.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში საჭიროა ფასადზე ჩამოფარებული იქნას ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაფანტვა სელიტებურ ზონაში.

8.3. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

8.5. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლიბის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

8.6. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე, მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი - კალენდარული გრაფიკი

შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
METRIX CONSTRUCTION LLC

მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა

ეტაპები	მშენებლობის განხორციელების რიგები და ეტაპები	მშენებ. ხანგრძ. თვეების მიხედვით	მშენებლობის I წელი												მშენებლობის II წელი												მშენებლობის III წელი											
			I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	XIII თვე	XIV თვე	XV თვე	XVI თვე	XVII თვე	XVIII თვე	XIX თვე	XX თვე	XXI თვე	XXII თვე	XXIII თვე	XXIV თვე	XXV თვე	XXVI თვე	XXVII თვე	XXVIII თვე	XXIX თვე	XXX თვე	XXXI თვე	XXXII თვე	XXXIII თვე	XXXIV თვე	XXXV თვე	XXXVI თვე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39
	I რიგის სამუშაოები																																					
I	მოსამზადებელი სამუშაოები,გარე დროებითი ღობის მოწყობა																																					
II	შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება																																					
	II რიგის სამუშაოები																																					
III	მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე და ნულოვანი ნიშნულის ზევით.																																					
IV	ლითონის გადახურვების მოწყობა მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები																																					
V	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა																																					

1. მშენებლობის დაწყება აითვლება სამშენებლო ნებართვის მიღებიდან.

2. მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებული 36 თვის პერიოდით, 2 რიგი, 5 ეტაპი.

3. კალენდარულ თვეში მიღებულია 25 სამუშაო დღე, შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა მიჩნეული.

სიტუაციური სქემა
KEY PLAN

No	Date	Revision	Issued by

METRIX
CONSTRTUCTION

შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
METRIX CONSTRUCTION LLC

www.metrixconstruction.ge
e-mail: metrixconstruction.llc@gmail.com
tel: 579 60 19 19; 555 13 00 31

მისამართი
ADDRESS

პროექტი
PROJECT საცხოვრებელი სახლი

ნახაზი
DRAWING

თანამდებობა POSITION	სახელი, გვარი NAME, SURNAME	ხელმოწერა SIGNATURE
დირექტორი DIRECTOR	დავით გვასალია DAVID GVASALIA	
არქიტექტორი ARCHITECTOR		
კონსტრუქტორი CONSTRUCTOR	დავით გვასალია DAVID GVASALIA	
	ფორმატი PAPER SIZE A4	მასშტაბი SCALE 1:500
ნახ. კოდი DRWG No CD/001-3.06.20	კორექტ. REVISION	სტადია STATUS CD

შპს მეტრიქს კონსტრაქშენი
METRIX CONSTRUCTION LLC
400278338

METRIX CONSTRUCTION LLC



მისამართი:
ქ. თბილისი, აბაშის ქუჩა №20-ბ
(ს.კ.01.16.03.031.007)

არქიტექტურული პროექტი

დირექტორი რ. ხვედელიძე	
არქიტექტორი შ.ტალახაძე	
დამკვეთი: ზალიკო ტყეშელაშვილი	

გენერალური გეგმა
საპროექტო

შ.პ.ს "MT studio"

დაკვეთა №

სტადია	ფურც.	რაოდ.	მასშტ.
მ.პ.			1:100

S.p.s "kirkitaZe da kompania" (s/n416294067)

pekinis q. #27 t: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, faqsi: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

ქალაქი თბილისი, შალვა ჯაფარიძის ქ. №8 (ს/კ: 01.12.01.005.036)
შპს "ინტერბიზნესის აკადემია"-ს (I/D: 201990881) საკუთრებაში არსებული 335 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — ქვის საცხოვრებელი შენობა	◦ 1002.82 სიმაღლის ნიშნული
ბეტ — ბეტონის საფარი	დამხმარე იზოჰიფსი
ქა — ქვის არასაცხოვრებელი შენობა	წ — წყალგაყვანილობა
01.17.14.001.229 — საკადასტრო საზღვარი საკადასტრო კოდი	გ — გაზი
01.00.086 } ხაზოვანი ნაგებობა საკადასტრო კოდი	კ — კანალიზაცია
	ელ. ხაზი
	(-ხრ-) გზა საფარით
	ქვის კედელი
	სამეთვალყურეო ჭები

შენიშვნა:1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

S.p.s. "kirkitaZe da kompania" (s/n416294067)

pekinis q. #27/10 t: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, faqsi: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

www. kirkitadze.ge kirkitadze@mail.ru

დირექტორი:	რ. კირკიტაძე
აზომა:	გ. მაჩიტაძე
დახაზა:	რ. მუმლაძე
დამკვეთი	შპს "ინტერბიზნესის აკადემია"
მასშტაბი: 1:500	04.06.2022წ.